დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის მიერ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ვერიკო ჭიღლაძე

წევრები:

ქეთევან ღვანიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს თავისუფალი ხედვის აკადემია

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 406460235

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი ველი):

■ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ არაგეგმიური

☐ საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 31 იანვრის MES 0 26 0000095995 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება შპს თავისუფალი ხედვის აკადემიაში პროფესიული საგანმანთელბლო პროგრამის "აღმზრდელი" პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის - პროგრამების სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ), კომპონენტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა გამოგზავნილი განაცხადი, თანდართული დოკუმენტაციით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგენილი იქნა ვიზიტის დღის წესრიგი და ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის მეშვეობით გადაეგზავნა დაწესებულებას. ვიზიტი განხორციელდა ბრძანების შესაბამისად შპს თავისუფალი ხედვის აკადემიაში 2026 წლის 9 თებერვალს (მის: ქ.თბილისი, თრიალეთის ქ. №50).

ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა და გაესაუბრა დაწესებულების ხელმძღვანელებს, ადმინისტრაციას, პროგრამის ხელმძღვნელს, პროგრამის განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებლებს და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. ვიზიტის დროს დათვალიერებული იქნა სასწავლო გარემოები, ბიბლიოთეკა და მატერიალური რეურსები. შესაბამისი ინფორმაცია დეტალურად არის წარმოდგენილი დასკვნაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

ინფორმაცია ივსება მხოლოდ მიმდინარე პროგრამების მიხედვით მონიტორინგის დროს ან წარმოების მიზნებიდან გამომდინარე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
აღმზრდელი	144	120	0	5

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
აღმზრდელი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლენილა

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაცია არ გაცემულა.

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულება არგუმენტირებული პოზიციის შესაბამისად ეთანხმება დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	აღმზრდელი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, თრიალეთის ქ. №50
პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში)	კოოპერაციული
დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	238
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	120
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	238

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

IV. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს თავისუფალი ხედვის აკადემიას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ (დამტკიცებულია აკადემიის ხელმძღვანელის 2024 წლის 19 სექტემბრის №01/34 ბრძანებით, ცვლილება შეტანილია აკადემიის ხელმძღვანელის 2025 წლის 12 სექტემბრის №1/87 ბრძანებით) განხორციელებისთვის გამოყოფილი აქვს:

- A გარემო (5): №108 – 24 პროფესიული სტუდენტისათვის, №109 – 20 პროფესიული სტუდენტისათვის, №214 – 20 პროფესიული სტუდენტისათვის, №305 – 15 პროფესიული სტუდენტისათვის და №310- 40 პროფესიული სტუდენტისათვის. აუდიტოროები აღჭურვილია შესაბამისი რაოდენობის პროფესიული სტუდენტის სკამითა და მაგიდით, მასწავლებლის ერთი სკამითა და მაგიდით, დაფით, სადემონსტრაციო საშუალებით და გამტარია ჯამში 119, ხოლო ცვლებში 238 პროფესიული სტუდენტისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- B გარემო (2): №213 – 28 პროფესიული სტუდენტისათვის, №311 – 32 პროფესიული სტუდენტისათვის. სასწავლო გარემო აღჭურვილია შესაბამისი რაოდენობის პროფესიული სტუდენტის მაგიდით და სკამით, კომპიუტერით, მასწავლებლის ერთი მაგიდით და სკამით, კომპიუტერით, დაფით, სადემონსტრაციო საშუალებით და პრინტერით. ორივე აუდიტორია ჯამში გამტარია 60 სტუდენტისთვის, ცვლებში 120 სტუდენტისათვის. ექსპერტთა ჯგუფის მიერ პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებით დაზუსტდა, რომ დაწესებულება სტუდენტთა მიღებას ახორციელებს წელიწადში ორ მიღებაზე, შესაბამისად აღნიშნული რაოდენობა საკმარისია მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობისთვის. ორივე B სასწავლო გარემო ასევე სრული დატვირთვით გამოიყენება სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვისაც (აუდიტორია №213 – „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“, ხოლო №311- „ბუღალტრული აღრიცხვა“), თუმცა აკადემიის ხელმძღვანელობის არგუმენტირებული პოზიციის თანახმად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ სასწავლო მოდული „ინფორმაციული წიგნიერება 2“ იწყება ზემოაღნიშნული ორი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ზოგად მოდულებთან ერთად (აღნიშნული არ საჭიროებს B სასწავლო გარემოს), რომლთა განხორციელებაც გადაინაცვლებს A გარემოებში, ხოლო განთავისუფლებული B გარემოები გამოიყენება მოდულის „ინფორმაციული წიგნიერება 2“ განხორციელებისთვის. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა სამივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა, ცხრილები და აუდიტორიის დატვირთვის განრიგი, რის შედეგადაც ეთანხმება დაწესებულების წარმოდგენილ არგუმენტებს აუდიტორიების გამტარუნარიანობასთან დაკავშირებით.

შპს თავისუფალი ხედვის აკადემიას პრაქტიკული მოდულების განხორციელების მიზნით გაფორმებული აქვს ხელშეკრულება 3 საბავშვო ბაგა-ბაღთან:

- ა(ა)იპ „ქ. თბილისის №64 საბავშვო ბაგა-ბაღი“ – 2024 წლის 14 აგვისტოს გაფორმებული №38/მ უვადო ხელშეკრულება (ცვლილება: 2025 წლის 20 აგვისტოს შეთანხმება №38/მ-1). პრაქტიკის ობიექტს აქვს 12 ჯგუფი და უზრუნველყოფს თითო ჯგუფში 3 პროფესიული სტუდენტის დაშვებას. ერთდროულად შეუძლია პრაქტიკაზე მიიღოს 36, ხოლო 2 ცვლაში 72 პროფესიული სტუდენტი;
- ა(ა)იპ „ქ. თბილისის №116 საბავშვო ბაგა-ბაღი“ – 2024 წლის 14 აგვისტოს გაფორმებული №39/მ უვადო ხელშეკრულება (ცვლილება: 2025 წლის 8 სექტემბერს შეთანხმება №39/მ/1). პრაქტიკის ობიექტს აქვს 5 ჯგუფი და უზრუნველყოფს თითო ჯგუფში 3 პროფესიული სტუდენტის დაშვებას. ერთდროულად შეუძლია პრაქტიკაზე მიიღოს 15, ხოლო 2 ცვლაში 30 პროფესიული სტუდენტი;
- ა(ა)იპ „ქ. თბილისის №116 საბავშვო ბაგა-ბაღი“ – 2025 წლის 10 სექტემბერს გაფორმებული უვადო ხელშეკრულება. პრაქტიკის ობიექტს აქვს 11 ჯგუფი და უზრუნველყოფს თითო ჯგუფში 3 პროფესიული სტუდენტის დაშვებას. ერთდროულად შეუძლია პრაქტიკაზე მიიღოს 33, ხოლო 2 ცვლაში 66 პროფესიული სტუდენტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პარტნიორი ორგანიზაციები უზრუნველყოფენ შემდეგი მოდულების განხორციელებას:

- გაცნობითი პრაქტიკა - სკოლამდელი აღზრდა და განათლება;
- პრაქტიკული პროექტი - სკოლამდელი აღზრდა და განათლება.

ხელშეკრულებების თანახმად პარტნიორი ორგანიზაცია პასუხისმგებლობას იღებს ზემო აღნიშნული მოდულების განხორციელებაზე, სტუდენტისთვის შესაბამისი მატერიალური რესურსებითა და მასალ-ნედლეულით უზრუნველყოფაზე.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტის დროს პრაქტიკის ობიექტების შემოწმებით დადასტურდა სწავლის შედეგების განხორციელების მიღწევადობის შესაძლებლობა და მატერიალური რესურსების ფლობა კვოტით განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობისთვის - 238 პროფესიული სტუდენტი ორ მიღებაზე.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა სარეკომენდაციო სასწავლო გარემოს და მინიმალური მატერიალური რესურსის განსაზღვრის დოკუმენტი (დანართი 32) და მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით **2.2.1.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

2. შპს თავისუფალი ხედვის აკადემიას პროგრამის დანართი №31 განსაზღვრული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი. პროგრამით გათვალისწინებულია თითო მოდულზე მინიმუმ 2 და ჯამში 30 დარგობრივი და 16 ზოგადი მოდულების განმახორციელებელი პირი.

პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება საქართველოს შრომის კოდექსს და არ აღემატება კვირაში 40 საათს.

ექსპერტთა შეფასებით **2.2.1.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**

3. თავისუფალი ხედვის აკადემიის საშტატო თანამდებობებზე საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ დოკუმენტის (დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2024 წლის 01 აპრილის № 01/1 ბრძანებით, ბოლო ცვლილება: დირექტორის 2025 წლის 27 აგვისტოს № 01/79 ბრძანებით) თანახმად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პროფესიული მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს წარმოადგენს შესაბამის დარგში 1 წლიანი სამუშაო გამოცდილება ან/და კომპეტენციის დადასტურება შესაბამისი პროფესიული ან უმაღლესი განათლებით. პროფესიული მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობები განსაზღვრულია შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის დებულებით (დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2024 წლის 01 აპრილის № 01/1 ბრძანებით), ხოლო მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, სამუშაოს შესრულებისა და განვითარების პროცედურები - შპს თავისუფალი ხედვის აკადემიაში პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის წესი და პირობების დოკუმენტით (დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2025 წლის 29 დეკემბრის № 01/137 ბრძანებით).

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები, რომლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობას და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩართული არიან პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში, სასწავლო რესურსების განახლებაში. მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში (ინტერესთა კონფლიქტის გათვალისწინებით). მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ პირობებს და მასში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც ახორციელებს მასწავლებელი.

ექსპერტთა შეფასებით **2.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**

4. შპს თავისუფალი ხედვის აკადემიას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრული აქვს საშტატო თანამდებობებზე საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ დოკუმენტის შესაბამისად, ხოლო ფუნქცია მოვალეობები შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის დებულებით.

დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქცია და დამტკიცების წესის (დამტკიცებულია აკადემიის ხელმძღვანელის 2024 წლის 03 აპრილის №01/8 ბრძანებით, ცვლილება: აკადემიის ხელმძღვანელის 2025 წლის 27 აგვისტოს №01/76 ბრძანებით) შესაბამისად დანართით №1 აკადემიის ხელმძღვანელის 2024 წლის 19 სექტემბრის №01/34 ბრძანებით დამტკიცებული ჰყავს პროგრამის ხელმძღვანელი. ექსპერტთა ჯგუფის მიერ პირადი საქმეების შესწავლითა და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით დადგინდა, რომ იგი არის დარგის მოქმედი პრაქტიკოსი სპეციალისტი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

რომლის კვალიფიკაცია და გამოცდილება შეესაბამება დაწესებულების მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს. ინტერვიუირების პროცესში ნათლად გამოჩნდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და მუშაობს პროგრამის განვითარების მიმართულებით. მონაწილეობა აქვს მიღებული საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირებაში, პარტნიორი ორგანიზაციებთან კომუნიკაციაში, პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევასა და მატერიალური რესურსების მობილიზებაში.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით **2.2.1.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**

5. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსების გადამოწმება, ბიბლიოთეკის დათვალიერება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება. დარგის ექსპერტის მიერ გადამოწმდა სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობა. დადგინდა, რომ მოდულებით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში ელექტრონული სახით. სასწავლო რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, ბიბლიოთეკაში განთავსებულია 4 კომპიუტერი და ერთი პრინტერი. ბიბლიოთეკაში ასევე მოწყობილია სამკითხველო პროფესიული სტუდენტებისთვის.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით **2.2.1.5 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**

6. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებულია აკადემიის ხელმძღვანელის 2025 წლის 27 აგვისტოს № 01/78 ბრძანებით, ბოლო ცვლილება: ხელმძღვანელის 2025 წლის 29 დეკემბრის № 01/134 ბრძანებით), რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა სწავლებისა და მხარდაჭერის ღონისძიებები (მუხლი 10) და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის გავლა ინდივიდუალურ რეჟიმში (მუხლი 11). აღნიშნული მექანიზმები ითვალისწინებს საჭიროეების შემთხვევაში შესაბამისი სერვისების უზრუნველყოფას, მაგალითად: საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირის ჩართვა, მასალების ადაპტირება ინდივიდუალური საჭიროების მიხედვით, საგანმანათლებლო რესურსის ელექტრონული ვერსიის დამზადება, ტექსტების გამარტივება და ვიზუალური აღქმის შესაძლებლობის გაძლიერება მასწავლებელთა ჩართულობით და სხვა.

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათ აქვთ მზაობა საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყონ აღნიშნული მექანიზმების პრაქტიკულად განხორციელების უზრუნველყოფა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით **2.2.1.6 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.**

7. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "აღმზრდელი" ბიუჯეტი (პროგრამის დანართი 33), რომლის თანახმადაც შემოსავლის სახეობას წარმოადგენს ვაუჩერული დაფინანსება, ხოლო ხარჯების სახეობებია: მასწავლებლის და ადმინისტრაციის ანაზღაურება, ნედლეული და მასალა, დიპლომის/დანართის გაცემა, კომუნალური გადასახადები, იჯარა და სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები. პროფესიული სტუდენტების რენტაბელობის ზღვარს წარმოადგენს 11 სტუდენტი. ბიუჯეტი ასახავს კოლეჯის სისტემურ მიდგომას ფინანსურ მართვაში და ქმნის საფუძველს პროგრამის ხარისხიანი და უწყვეტი განხორციელებისთვის.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით **2.2.1.7 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი" (დამტკიცებულია აკადემიის ხელმძღვანელის 2024 წლის 19 სექტემბრის №01/34 ბრძანებით, ცვლილება შეტანილია აკადემიის ხელმძღვანელის 2025 წლის 12 სექტემბრის №1/87 ბრძანებით);
2. სარეკომენდაციო სასწავლო გარემო და მინიმალური მატერიალური რესურსი დანართი №32;
3. სასწავლო გეგმა დანართი №30;
4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შევსებული ფორმა;
5. პრაქტიკის განმახორციელებელ პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი" განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი დანართი №31;
7. თავისუფალი ხედვის აკადემიის საშტატო თანამდებობებზე საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ დოკუმენტი (დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2024 წლის 01 აპრილის № 01/1 ბრძანებით, ბოლო ცვლილება: დირექტორის 2025 წლის 27 აგვისტოს № 01/79 ბრძანებით);
8. შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის დებულება (დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2024 წლის 01 აპრილის № 01/1 ბრძანებით).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

9. შპს თავისუფალი ხედვის აკადემიაში პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის წესი და პირობების დოკუმენტი (დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2025 წლის 29 დეკემბრის № 01/137 ბრძანებით);
10. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებულია აკადემიის ხელმძღვანელის 2025 წლის 27აგვისტოს № 01/78 ბრძანებით, ბოლო ცვლილება: ხელმძღვანელის 2025 წლის 29 დეკემბრის № 01/134 ბრძანებით);
11. პროგრამის ბიუჯეტი დანართი 33;
12. ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

10.03.2026
.....
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---